

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილების პროექტის მოკლე მიმოხილვა

1. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების პროექტის მიხედვით შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა კანონით განსაზღვრულ მაჩვენებელთან შედარებით იზრდება 173 მლნ ლარით (1.7%-ით) და შეადგენს 10,318 მლნ ლარს.

კანონპროექტის მიხედვით, შემოსულობების აგრეგატული მაჩვენებლის ცვლილება ითვალისწინებს საგარეო წყაროდან - გრანტებისა და კრედიტების სახით მოზიდული სახსრების და აგრეთვე, საშინაო წყაროდან - საშინაო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების მაჩვენებლის ცვლილებას (საგადასახადო და სხვა შემოსავლების, ფინანსური და არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობების გეგმური მაჩვენებლები უცვლელია. შედეგად, შემოსავლების მაჩვენებელი მცირდება 8 მლნ ლარით, ხოლო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების სიდიდე იზრდება 181 მლნ ლარით). კერძოდ:

გრანტების სახით დაგეგმილი შემოსავლები მცირდება 8.2 მლნ ლარით და განისაზღვრება 246.8 მლნ ლარით, რაც განმარტებითი ბარათის შესაბამისად, უკავშირდება:

- ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტების გეგმური მაჩვენებლის შემცირებას 20 მლნ ლარით 105 მლნ ლარამდე. აღსანიშნავია, რომ საგარეო წყაროებიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტების სახით 10 თვეში ბიუჯეტში მიღებულია მხოლოდ 7.7 მლნ ლარი.
- საინვესტიციო (ხარჯზე მიბმული) გრანტების მოცულობის ზრდას 11.8 მლნ ლარით 141.8 მლნ ლარამდე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საინვესტიციო გრანტების სახით 10 თვეში ბიუჯეტში უკვე მიღებულია 145.8 მლნ ლარი, რაც აჭარბებს როგორც დამტკიცებული გეგმის (130 მლნ ლარი), ასევე წარმოდგენილი ცვლილების პროექტით განსაზღვრულ მაჩვენებლებს (როგორც განმარტებით ბარათშია მითითებული, აღნიშნული ზრდა დაკავშირებულია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის და ენერგეტიკის სამინისტროების მიერ დონორებისგან მოზიდული გრანტების ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესრულებასთან).

ვალდებულებების ზრდის მაჩვენებელი იზრდება 181.2 მლნ ლარით და განისაზღვრება 1,456.2 მლნ ლარის დონეზე. აქედან:

- საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდის მაჩვენებელი იზრდება 180 მლნ ლარით და შეადგენს 380 მლნ ლარს, რაც ფინანსთა სამინისტროს მითითებით, განპირობებულია საგარეო წყაროებიდან საბიუჯეტო დახმარების სახით მისაღები კრედიტების დროში გადავადების გამო რესურსის შიდა წყაროს მოძიების საჭიროებით. საყურადღებოა, რომ 2016 წლის 10 თვის მდგომარეობით, საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდა შეადგენს 301 მლნ ლარს, ხოლო 11 თვის შესრულების ხაზინის ოპერატიულ მონაცემებზე დაყრდნობით - 349 მლნ ლარს.
- რაც შეეხება საგარეო ვალდებულებებს, საბიუჯეტო დახმარების სახით მისაღები კრედიტების გეგმა მცირდება 140.0 მლნ ლარით 255 მლნ ლარამდე, ხოლო საინვესტიციო კრედიტების სახით მისაღები შემოსულობები იზრდება 141.2 მლნ ლარით. ბიუჯეტის მხარდამჭერ კრედიტებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის 11 თვეში(ხაზინის ოპერატიულ მონაცემებზე დაყრდნობით) ამ

მიმართულებით ბიუჯეტში თანხები არ შემოსულა. ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, წარმოდგენილი გეგმის 255 მლნ ლარის დონეზე შენარჩუნება მიუხედავად ცალკეული პროექტების ფარგლებში ჩამორციხვების 2017 წლისათვის უკავშირდება იმ ფაქტს, რომ აზიის განვითარების ბანკთან მიღწეული შეთანხმების საფუძველზე მიმდინარე წლის 12 დეკემბერს ჩარიცხულ იქნა 98.7 მლნ აშშ დოლარი(დაახლოებით 255 მლნ ლარი).

რაც შეეხება საინვესტიციო კრედიტებს, აღნიშნული კრედიტების გეგმური მაჩვენებელი იზრდება 141 მლნ ლარით და შეადგენს 821 მლნ ლარს (10 თვეში ამ მიმართულებით ბიუჯეტში მიღებულ იქნა გეგმით გათვალისწინებული სიდიდის 86%, 587 მლნ ლარი, ხოლო ხაზინის ოპერატიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით 11 თვის შესრულების მაჩვენებელი შეადგენს 646.8 მლნ ლარს). საინვესტიციო კრედიტების გეგმური მაჩვენებლის ზრდა, განმარტებით ბარათის მიხედვით, დაკავშირებულია დონორების მიერ კონკრეტული პროექტების დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხების ათვისების ტენდენციასთან.

2. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებს, წარმოდგენილი ცვლილებით გადასახდელების ჯამური მაჩვენებელი იზრდება 153 მლნ ლარით (2%-ით) 2016 წლის ბიუჯეტის კანონით გადასახდელების ჯამური მაჩვენებელთან და განსაზღვრულია 10,298 მლნ ლარის დონეზე და 2015 წელთან შედარებით გადასახდელების ზრდის ტემპი 6.1%-ს შეადგენს. ცვლილება ეხება გადასახდელების ცალკეულ კომპონენტებს, კერძოდ:

- შემცირებულია არაფინანსური აქტივების ზრდის (ე.წ. კაპიტალური ხარჯები) გეგმური მოცულობა 36 მლნ ლარით: 2016 წლის 10 თვის მდგომარეობით, აღნიშნული კომპონენტის შესრულება გადასახდელებიდან ყველაზე დაბალი შესრულებით(წლიური გეგმის 69%) ხასიათდება;
- იზრდება ხარჯების(ე.წ. მიმდინარე ხარჯები) გეგმური მაჩვენებელი 128 მლნ ლარით და ფინანსური აქტივების ზრდა 62 მლნ ლარით;
- ვალდებულებების კლების კომპონენტი უცვლელი რჩება.

რაც შეეხება ხარჯების(ე.წ. მიმდინარე ხარჯების) ცალკეულ მუხლებს, კანონით განსაზღვრულ მაჩვენებელთან შედარებით ხარჯების ზრდის დიდი წილი უკავშირდება საქონლის და მომსახურების მუხლით ხარჯების ზრდას 70 მლნ ლარით და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების 40 მლნ ლარით ზრდას. ამასთან, მცირედით შემცირებულია შრომის ანაზღაურების მუხლით და სუბსიდიების ხარჯები და კლება შესაბამისად 0.7 მლნ ლარსა და 1.5 მლნ ლარის დონეზე განისაზღვრა. რაც შეეხება სხვა ხარჯების კომპონენტს წარმოდგენილი ცვლილებით გათვალისწინებულია აღნიშნული კომპონენტის 20 მლნ ლარით ზრდა.

დასახელება	2015	2016	2016	10 თვე/2016 წლიური გეგმა	2016 წელი	2016წ. პროექტი / 2016წ. კანონი	
	ფაქტი	გეგმა	10 თვე		ცვლილების პროექტი	სხვაობა	%-ული ცვლილება
გადასახდელები	9,703	10,145	8,293	82%	10,298	153	2%
ხარჯები	8,158	8,543	7,085	83%	8,671	128	2%

არაფინანსური აქტივების ზრდა	680	750	515.1	69%	714	-36	-5%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	445	407	383.5	94%	469	62	15%
ვალდებულებების კლება	420	444	309.9	70%	444	0	0%

მხარჯავი დაწესებულებების დონეზე ხარჯების(ე.წ. მიმდინარე ხარჯების) დინამიკასთან დაკავშირებით, პროექტით გათვალისწინებულია ხარჯების წლიური გეგმური მაჩვენებლის ზრდა შემდეგი მხარჯავი დაწესებულებებისათვის ზრდა:

- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო (82 მლნ ლარი)
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (40 მლნ ლარი)
- საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (31.5 მლნ ლარი)
- საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები (6 მლნ ლარი)
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (300 ათასი ლარი)

ამასთან, მიმდინარე ხარჯების გეგმა შემცირებულია შემდეგი მხარჯავი დაწესებულებებისათვის:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (18 მლნ ლარი)
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო (7.9 მლნ ლარი)
- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო (1.9 მლნ ლარი)
- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია (1.8 მლნ ლარი)
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (1.7 მლნ ლარი)
- საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები (900 ათასი ლარი)
- სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური (200 ათასი ლარი)

აქვე აღსანიშნავია, რომ ჯამურად შრომის ანაზღაურების მუხლით ხარჯები 2016 წლის გეგმასთან შედარებით შემცირებულია 700 ათასი ლარით, მათ შორის:

- 600 ლარით შემცირებულია საქართველოს პარლამენტისა და მასთან არსებული ორგანიზაციების შრომის ანაზღაურება,
- 100 ათასი ლარით შემცირებულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურება.

რაც შეეხება საერთო სახელმწიფოებრივ გადასახდელებს, წარმოდგენილი ცვლილებით გათვალისწინებულია გადასახდელების ზრდა 13.2 მლნ ლარით. ცვლილება ითვალისწინებს დონორების მიერ დაფინანსებული საერთო სახელმწიფოებრივი გადასახდელების ამავე ოდენობით ზრდას. უცვლელად ნარჩუნდება საერთო სახელმწიფოებრივი გადასახდელების სხვა პროგრამების, მათ შორის სარეზერვო ფონდების გეგმური მაჩვენებლები. აქვე აღსანიშნავია, რომ მთავრობის სარეზერვო ფონდის გეგმური მაჩვენებელი ნარჩუნდება 50 მლნ ლარის დონეზე, თუმცა 10 თვის მდგომარეობით, ხაზინის მონაცემებით მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები 145.8 მლნ ლარს,

ხოლო გადარიცხული სახსრები 128.6 მლნ ლარს უტოლდება(მთავრობის სარეზერვო ფონდის ასიგნებების ზრდა მოხდა ცალკეული მხარჯავი დაწესებულებების ეკონომიებიდან და საგარეო ვალდებულებების მომსახურება/დაფარვიდან სახსრების გადანაწილების საფუძველზე).

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები (მლნ ლარი).

	2015 წელი შესრულება	2016 წელი გეგმა	2016 წელი პროექტი	2016 წ. პროექტი / 2016 წ. გეგმა		2016 წ. პროექტი / 2015 წ. შესრულება		2016 წ. 10 თვე / 2016 წ. გეგმა
				სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება	
სულ შემოსულობები	9,891.1	10,145.0	10,318.0	173.0	1.7%	426.9	4.3%	79.6%
შემოსავლები	8,170.5	8,555.0	8,546.8	-8.2	-0.1%	376.3	4.6%	81.4%
გადასახადები	7,549.6	7,980.0	7,980.0	0.0	0.0%	430.4	5.7%	82.4%
გრანტები	315.6	255.0	246.8	-8.2	-3.2%	-68.8	-21.8%	60.2%
სხვა შემოსავლები	305.3	320.0	320.0	0.0	0.0%	14.7	4.8%	71.9%
არაფინანსური აქტივების კლება	287.3	225.0	225.0	0.0	0.0%	-62.3	-21.7%	76.9%
ფინანსური აქტივების კლება	71.9	90.0	90.0	0.0	0.0%	18.1	25.2%	58.1%
ვალდებულებების ზრდა	1,361.4	1,275.0	1,456.2	181.2	14.2%	94.8	7.0%	69.7%
საგარეო	1,046.7	1,075.0	1,076.2	1.2	0.1%	29.4	2.8%	54.6%
საშინაო	314.7	200.0	380.0	180.0	90.0%	65.3	20.8%	150.6%
სულ გადასახდელები	9,703.1	10,145.0	10,298.0	152.9	1.5%	594.8	6.1%	81.7%
ხარჯები	8,158.0	8,543.6	8,671.3	127.7	1.5%	513.3	6.3%	82.9%
შრომის ანაზღაურება	1,376.8	1,443.3	1,442.6	-0.7	0.0%	65.8	4.8%	83.3%
საქონელი და მომსახურება	946.2	1,037.5	1,107.4	69.9	6.7%	161.2	17.0%	87.3%
პროცენტი	326.6	473.8	473.8	0.0	0.0%	147.2	45.1%	75.8%
სუბსიდიები	245.7	264.5	263.0	-1.5	-0.6%	17.2	7.0%	100.4%
გრანტები	1,271.3	960.9	960.9	0.0	0.0%	-310.4	-24.4%	80.1%
სოციალური უზრუნველყოფა	2,802.4	3,057.0	3,097.0	40.0	1.3%	294.6	10.5%	84.1%
სხვა ხარჯები	1,188.9	1,306.6	1,326.6	20.0	1.5%	137.7	11.6%	77.5%
არაფინანსური აქტივების ზრდა	680.2	750.1	713.7	-36.4	-4.8%	33.5	4.9%	68.7%
ფინანსური აქტივების ზრდა	444.8	407.0	468.6	61.6	15.1%	23.8	5.3%	94.2%
ვალდებულებების კლება	420.2	444.4	444.4	0.0	0.0%	24.2	5.8%	69.7%